საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კინტრიში

კინტრიში, მდინარე დასავლეთ საქართველოში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში. სათავეს იღებს მესხეთის ქედის ჩრდ.-დას. კალთაზე, ხინოს მთის მახლობლად, ზ. დ. 2599 მ-ზე. ქობულეთთან ერთვის შავ ზღვას. სიგრძე 45 კმ, აუზის ფართ. 291 კმ ^{2}. საზრდოობს წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალუხვია შემოდგომაზეც, წყალმცირე – ზამთარსა და ზაფხულში. გაზაფხულზე მოდის წლიური ჩამონადენის 35%, ზაფხულზე – 18%, შემოდგომაზე – 31%, ზამთარზე – 16%. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 17,3 მ ^{3}/ წმ. კ-ს ყოველწლიურად ზღვაში შეაქვს დაახლ. 540 მლნ. მ^3 წყალი.

ი. აფხაზავა